საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №969
2024 წლის 4 იანვარი

ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ და „უ“ ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანდართული დებულება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 17 მარტის №63 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სტატუსი და ანგარიშვალდებულება

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) გენერალური ინსპექციის (შემდგომ – გენერალური ინსპექცია) სამართლებრივ სტატუსს, ამოცანებს, უფლებამოსილებას, სტრუქტურას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. გენერალური ინსპექცია არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანებისა და უფლებამოსილებების განხორციელებას.

3. გენერალური ინსპექციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, სისხლის სამართლის კანონმდებლობა, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ეს დებულება, აგრეთვე, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სხვა სამართლებრივი აქტები.

4. გენერალური ინსპექცია ამ დებულებით განსაზღვრული ამოცანებისა და უფლებამოსილებების განხორციელებისას ანგარიშვალდებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) წინაშე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას.

მუხლი 2. გენერალური ინსპექციის საქმიანობის პრინციპები

1. გენერალური ინსპექციის საქმიანობის პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა და პატივისცემა;

გ) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;

დ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა;

ე) პროფესიონალიზმი;

ვ) საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვა.

2. გენერალური ინსპექციის მოსამსახურე ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები, მიუხედავად მისი რასისა, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნისა.

თავი II. გენერალური ინსპექციის ამოცანები და უფლებამოსილებები

მუხლი 3. გენერალური ინსპექციის ამოცანები

გენერალური ინსპექციის ამოცანებია:

ა) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლი;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, დანაშაულის პრევენციისკენ მიმართული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, დანაშაულის გამოვლენა და აღკვეთა;

გ) კანონმდებლობით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად გამოძიების ჩატარება;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება;

ე) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა;

ვ) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში მოსამსახურეთა მიერ ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესებისა და დისციპლინის დაცვის, აგრეთვე, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლი;

ზ) კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება;

თ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და მინისტრის შესაბამისი დავალების საფუძველზე ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის ზედამხედველობა;

ი) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენცია.

მუხლი 4. გენერალური ინსპექციის უფლებამოსილებები

1. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია:

ა) ჩაატაროს სამსახურებრივი შემოწმება სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეების და კერძო აღმასრულებლების მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვის, დისციპლინური გადაცდომისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენის მიზნით;

ბ) განახორციელოს დისციპლინური წარმოება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე; შეადგინოს დასკვნა და დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების მიზნით მიმართოს მინისტრს ან სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს;

გ) სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას/დისციპლინური წარმოების განხორციელებისას, განსახილველ საკითხზე კონსულტაციებისა და საექსპერტო დასკვნების მოსაპოვებლად, მოითხოვოს სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურის ან მოწვეული სპეციალისტის მონაწილეობა, აგრეთვე, ისარგებლოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს დახმარებით;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგი; წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად, მოამზადოს დასაბუთებული დასკვნა კერძო აღმასრულებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანშეწონილობის თაობაზე და წარუდგინოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს;

ე) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და მინისტრის შესაბამისი დავალების საფუძველზე ზედამხედველობა გაუწიოს ნოტარიუსის საქმიანობას;

ვ) უფლებამოსილების ფარგლებში მიმართოს მოთხოვნით სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, პენიტენციურ დაწესებულებას, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ან მის ტერიტორიულ ორგანოს, აგრეთვე, კერძო აღმასრულებელსა და ნოტარიუსს, წერილობით ან ზეპირი ფორმით მისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობისთვის პირობების უზრუნველყოფის, აგრეთვე, გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ საქმის მასალებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გადაცემის შესახებ;

ზ) უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლოს და სათანადო რეაგირება განახორციელოს ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა საჩივრებზე, განცხადებებსა და სხვა მასალებზე;

თ) კანონმდებლობით დადგენილი საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად სრული მოცულობით აწარმოოს გამოძიება; კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა; გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს დანაშაული;

კ) კანონით დადგენილი წესითა და ფორმით განახორციელოს სამინისტროს ქვემდებარე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა დაკავების ან/და ძებნა-დაკავების მოქმედებები;

ლ) თუ კანონმდებლობით ან ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამსახურებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში საშვგამტარი ან სხვა შემზღუდავი რეჟიმის გვერდის ავლით, შეუფერხებლად შევიდეს და გადაადგილდეს სამინისტროს, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ადმინისტრაციულ და მის სარგებლობაში არსებულ შენობა-ნაგებობებში; მინისტრის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე სპეციალური ნებართვის გარეშე შევიდეს და გადაადგილდეს პენიტენციურ დაწესებულებებში;

მ) განახორციელოს მონიტორინგი სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადმინისტრაციულ და სამსახურებრივ შენობებში არსებულ ელექტრონულ წამკითხველებზე დაფიქსირებულ მონაცემებსა და ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მიერ დაფიქსირებულ ვიდეოჩანაწერებზე;

ნ) საგამოძიებო უფლებამოსილების ფარგლებში მოსთხოვოს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს შესაბამისი სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული, კონკრეტული ფაქტის შემსწრე/თვითმხილველი გამოსაკითხი ან გამოკითხული ბრალდებულების/მსჯავრდებულების ცალ-ცალკე განთავსება;

ო) გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, დღე-ღამის ნებისმიერ დროს, ასევე არასამუშაო დღეებში პენიტენციურ დაწესებულებაში შევიდეს და ჩაატაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება (საჭიროების შემთხვევაში ექსპერტის, სპეციალისტის ან/და სხვა პირის მონაწილეობით);

პ) ისარგებლოს სამინისტროს სისტემაში არსებული საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამებითა და მონაცემთა ბაზებით და შექმნას უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო საინფორმაციო სისტემები;

ჟ) მოითხოვოს და შეამოწმოს სამინისტროს სისტემის მოსამსახურის, სამსახურებრივი ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები მათ მიერ დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ;

რ) გენერალური ინსპექციის უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად სამინისტროს სისტემის მოსამსახურის, აგრეთვე კერძო აღმასრულებლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მოპოვებული მასალები დადგენილი წესით გადაუგზავნოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს, გარდა გენერალური ინსპექციის საგამოძიებო ქვემდებარეობას დაქვემდებარებული საქმეებისა;

ს) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს პირს, დაიცვას მართლწესრიგი, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში – მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები;

ტ) საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ტექნიკური აღჭურვილობა/საშუალებები ან/და გადაუდებელი აუცილებლობისას, ამავე უწყებასთან შეთანხმებით – სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ეკუთვნის სხვა სახელმწიფო ორგანოს;

უ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის მიზნით შეისწავლოს და გააანალიზოს მის მიერ საქმიანობის განხორციელების პროცესში მოპოვებული ინფორმაცია/მასალები და სათანადო რეკომენდაციები წარუდგინოს, შესაბამისად, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ან სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს ან მინისტრს;

ფ) ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან, სამინისტროს სისტემის მოსამსახურეების კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა ან დისციპლინურ გადაცდომათა გამოვლენის მიზნით;

ქ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს ფიზიკური ძალა, აგრეთვე, სათანადო კურსის გავლის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს სპეციალური საშუალებები ან/და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი;

ღ) განახორციელოს ამ დებულებითა და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

2. გენერალურ ინსპექციაში ფუნქციონირებს „ცხელი ხაზი“ (0(32)2405599), რომლის მეშვეობით შემოსულ ინფორმაციაზე გენერალური ინსპექცია, კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია მოახდინოს დროული რეაგირება.

3. გენერალური ინსპექციის საქმიანობაზე სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, კომპეტენციის ფარგლებში, ხორციელდება საპროკურორო ზედამხედველობა.

თავი III. გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელობა

მუხლი 5. გენერალური ინსპექციის უფროსი

1. გენერალურ ინსპექციას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2. გენერალური ინსპექციის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს გენერალური ინსპექციის საქმიანობას;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობის შესრულებისთვის იმ სფეროში, რომელიც განეკუთვნება გენერალური ინსპექციის კომპეტენციას;

გ) ანაწილებს ამოცანებსა და ფუნქციურ მოვალეობებს გენერალური ინსპექციის სამმართველოებსა და ცალკეულ მოსამსახურეებს შორის და აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) უზრუნველყოფს გენერალური ინსპექციის სამმართველოებისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების კონტროლს;

ე) ხელს აწერს გენერალურ ინსპექციაში მომზადებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს; ხელს აწერს და ვიზირებას უკეთებს გენერალურ ინსპექციაში მომზადებულ სხვა დოკუმენტებს;

ვ) მინისტრის წინაშე შუამდგომლობს გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;

ზ) წარუდგენს მინისტრს წინადადებებს გენერალური ინსპექციის სტრუქტურის, საშტატო რიცხოვნობის, მუშაობის ორგანიზაციის, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის სახელფასო დანამატის გაცემის შესახებ;

თ) მინისტრის წინაშე შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა გენერალური ინსპექციის ამოცანების შესასრულებლად;

ი) წელიწადში ორჯერ მინისტრს წარუდგენს გენერალური ინსპექციის მიერ გაწეული საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშს;

კ) ასრულებს მინისტრის ცალკეულ დავალებებს;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

3. გენერალური ინსპექციის უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული გენერალური ინსპექციის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებით.

მუხლი 6. გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე

1. გენერალური ინსპექციის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2. გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს გენერალური ინსპექციის უფროსს მისთვის დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, ზედამხედველობს გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) ხელს აწერს და ვიზირებას უკეთებს გენერალურ ინსპექციაში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ორგანიზებას უწევს გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა პროფესიულ მომზადებას;

ე) ასრულებს მინისტრისა და გენერალური ინსპექციის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

ვ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

3. გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებებს ანაწილებს გენერალური ინსპექციის უფროსი.

4. გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე გენერალური ინსპექციისთვის დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისთვის ანგარიშვალდებულია გენერალური ინსპექციის უფროსისა და მინისტრის წინაშე.

მუხლი 7. გენერალური ინსპექციის სამმართველოს უფროსი

1. გენერალურ ინსპექციაში სამმართველოს სახით შემავალ სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2. სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამმართველოს საქმიანობას;

ბ) იხილავს სამმართველოში შემოსულ საჩივარ-განცხადებებს, შეტყობინებებსა და სხვა კორესპონდენციებს და მონაწილეობს მათ განხილვაში;

გ) ანაწილებს დავალებებს სამმართველოს მოსამსახურეებს შორის; აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;

დ) ახორციელებს კონტროლს გენერალური ინსპექციის შესაბამისი სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე;

ე) გენერალური ინსპექციის უფროსის შესაბამის მოადგილესთან შეთანხმებით ამზადებს და გენერალური ინსპექციის უფროსს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს;

ვ) ეცნობა სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ წარმოდგენილ დასკვნას ან მოხსენებით ბარათს, აკეთებს ვიზირებას და გენერალური ინსპექციის უფროსის შესაბამის მოადგილესთან შეთანხმებით წარუდგენს გენერალური ინსპექციის უფროსს;

ზ) ვიზირებას უკეთებს სამმართველოში მომზადებულ დოკუმენტებს;

თ) გენერალური ინსპექციის უფროსის შესაბამის მოადგილესთან შეთანხმებით, გენერალური ინსპექციის უფროსს ყოველთვიურად წარუდგენს ანგარიშს სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

ი) ასრულებს გენერალური ინსპექციის უფროსისა და მისი შესაბამისი მოადგილის მიერ განსაზღვრულ დავალებებს;

კ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამმართველოს უფროსი ანგარიშვალდებულია გენერალური ინსპექციის უფროსისა და მისი შესაბამის მოადგილის წინაშე.

4. სამმართველოს უფროსის არყოფნის ან მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი სამმართველოს უფროსის მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ამავე სამმართველოს სხვა მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებით.

მუხლი 8. გენერალური ინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე

1. გენერალური ინსპექციის სამმართველოს უფროსს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

2. სამმართველოს უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს შესაბამისი სამმართველოს უფროსს მისთვის დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, ზედამხედველობს შესაბამისი სამმართველოს მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, ხელს აწერს, აგრეთვე ვიზირებას უკეთებს სამმართველოში მომზადებულ დოკუმენტებს;

დ) ასრულებს გენერალური ინსპექციის უფროსის, მისი შესაბამისი მოადგილისა და შესაბამისი სამმართველოს უფროსის ცალკეულ დავალებებს;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა ფუნქციებს.

3. სამმართველოს უფროსის მოადგილე გენერალური ინსპექციისთვის დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისთვის ანგარიშვალდებულია შესაბამისი სამმართველოს უფროსის, გენერალურ ინსპექციის უფროსისა და მისი შესაბამისი მოადგილის წინაშე.

თავი IV. გენერალური ინსპექციის სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქციები

მუხლი 9. გენერალური ინსპექციის სტრუქტურული ერთეულები

გენერალური ინსპექციის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველო;

ბ) დასავლეთის საგამოძიებო სამმართველო;

გ) სამოხელეო დანაშაულის გამოძიების სამმართველო;

დ) სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო.

მუხლი 10. აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველო

აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342^1, 378-ე, 378^1, 378^2, 379-ე, 380-ე და 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების, აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებული პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის მიერ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე და 337-ე–342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიებას (გარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულებისა);

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საჩივრების, განცხადებების, შეტყობინებებისა და სხვა სახის კორესპონდენციის განხილვას, მათზე დროულ და კანონშესაბამის რეაგირებას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით;

გ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას;

დ) ხელმძღვანელის დავალებით გენერალური ინსპექციის იმავე ან/და სხვა სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურის ფუნქციების შესრულებას;

ე) გენერალური ინსპექციის უფროსისა და უფროსის შესაბამისი მოადგილის ცალკეული დავალებების, აგრეთვე პროკურორის წერილობითი დავალებებისა და მითითებების შესრულებას.

მუხლი 11. დასავლეთის საგამოძიებო სამმართველო

დასავლეთის საგამოძიებო სამმართველო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342^1, 378-ე, 378^1, 378^2, 379-ე, 380-ე და 381-ე (თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული განაჩენის შეუსრულებლობის ნაწილში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულების, დასავლეთ საქართველოში განლაგებული პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის მიერ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე და 337-ე–342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიებას (გარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულებისა);

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საჩივრების, განცხადებების, შეტყობინებებისა და სხვა სახის კორესპონდენციების განხილვას, მათზე დროულ და კანონშესაბამის რეაგირებას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით;

გ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას;

დ) ხელმძღვანელის დავალებით გენერალური ინსპექციის იმავე ან/და სხვა სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურის ფუნქციების შესრულებას;

ე) გენერალური ინსპექციის უფროსისა და უფროსის მოადგილის ცალკეული დავალებების, აგრეთვე პროკურორის წერილობითი დავალებებისა და მითითებების შესრულებას.

მუხლი 12. სამოხელეო დანაშაულის გამოძიების სამმართველო

სამოხელეო დანაშაულის გამოძიების სამმართველო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) სამინისტროს სისტემის მოსამსახურის, აგრეთვე კერძო აღმასრულებლის, მიერ ჩადენილი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე, 333-ე და 337-ე–342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების (გარდა გენერალური ინსპექციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოსა და დასავლეთის საგამოძიებო სამმართველოს ქვემდებარე, აგრეთვე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული დანაშაულებისა) გამოძიებას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, საჩივრების, განცხადებების, შეტყობინებებისა და სხვა სახის კორესპონდენციების განხილვას, მათზე დროულ და კანონშესაბამის რეაგირებას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით;

გ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებას;

დ) ხელმძღვანელის დავალებით გენერალური ინსპექციის იმავე ან/და სხვა სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურის ფუნქციების შესრულებას;

ე) გენერალური ინსპექციის უფროსისა და უფროსის მოადგილის ცალკეული დავალებების, აგრეთვე პროკურორის წერილობითი დავალებებისა და მითითებების შესრულებას.

მუხლი 13. სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო

სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლს;

ბ) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ინტერესთა შეუთავსებლობისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენას, აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებული საჩივრებისა და განცხადებების შესწავლას;

გ) სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში მოსამსახურეთა მიერ ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესებისა და დისციპლინის დაცვის, აგრეთვე, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლს;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელებას;

ე) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა და კერძო აღმასრულებლების მიმართ სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას და შემოწმების შედეგების შესახებ ანგარიშის მომზადებას;

ვ) სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, დისციპლინური წარმოების ჩატარებას სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა და კერძო აღმასრულებელთა მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე და შესაბამისი დასკვნის შედგენას;

ზ) სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და მინისტრის შესაბამისი დავალების საფუძველზე ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობის ზედამხედველობას და ნოტარიუსის დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების თაობაზე მასალების მომზადებას;

თ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენასა და პრევენციას;

ი) სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადმინისტრაციულ და სამსახურებრივ შენობებში არსებულ ელექტრონულ წამკითხველებზე დაფიქსირებულ მონაცემებსა და ვიდეოსამეთვალყურეო კამერების მიერ დაფიქსირებულ ვიდეოჩანაწერებზე მონიტორინგს;

კ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის, სამინისტროს სისტემის ორგანოების საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას;

ლ) გენერალური ინსპექციის უფროსის დავალებით, კომპეტენციის ფარგლებში, გენერალური ინსპექციის იმავე ან/და სხვა სამმართველოს მოსამსახურის ფუნქციების შესრულებას;

მ) ხელმძღვანელ პირთა ცალკეული დავალებების შესრულებას.

თავი V. სამსახურებრივი შემოწმება და დისციპლინური წარმოება

მუხლი 14. სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების საფუძვლები და წესი

1. სამსახურებრივი შემოწმების საფუძველია:

ა) სამინისტროს მოსამსახურის ან ყოფილი მოსამსახურის განცხადება ან მოხსენებითი ბარათი;

ბ) სამინისტროში განხორციელებული კანონმდებლობით გათვალისწინებული აუდიტის, ინსპექტირების ან/და მონიტორინგის შედეგები, რომელიც არ წარმოშობს დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველს;

გ) მოქალაქის საჩივარი/განცხადება;

დ) მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია;

ე) საჯარო და კერძო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაცია;

ვ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ტელევიზია, ინტერნეტი, პრესა და ა.შ.) გავრცელებული ინფორმაცია;

ზ) გენერალური ინსპექციის „ცხელ ხაზზე“ შემოსული შეტყობინება;

თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2. სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეებისგან, აგრეთვე, კერძო აღმასრულებლებისგან სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისთვის აუცილებელი ან/და მის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

ბ) შეუფერხებლად შევიდეს სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადმინისტრაციულ და სამსახურებრივ შენობა-ნაგებობებში, ობიექტებსა და ქვედანაყოფებში.

გ) ისარგებლოს სამინისტროს სისტემაში არსებული საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამებითა და მონაცემთა ბაზებით;

დ) სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურისგან, კერძო აღმასრულებლისგან ან ნებისმიერი სხვა პირისგან მიიღოს ახსნა-

განმარტება მოსაძიებელი ფაქტის ირგვლივ. ამ შემთხვევაში სხვა პირს წინასწარ განემარტება უფლება, უარი თქვას ახსნა-განმარტების მიცემაზე;

ე) განახორციელოს ამ დებულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

3. გენერალური ინსპექციის მოთხოვნა არ უნდა ზღუდავდეს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

4. სამსახურებრივი შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით შესაძლებელია მომზადდეს შესაბამისი ანგარიში.

5. სამსახურებრივი შემოწმების შედეგები შეიძლება საფუძვლად დაედოს დისციპლინური წარმოების დაწყებას.

მუხლი 15. დისციპლინური წარმოება

1. სამსახურებრივი შემოწმების შედეგად სამინისტროსა და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა, აგრეთვე კერძო აღმასრულებელთა მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლების არსებობისას, გენერალური ინსპექციის სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო ატარებს დისციპლინურ წარმოებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს მინისტრის ბრძანებით შექმნილი დამოუკიდებელი კომისია.

2. დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური ინსპექციის უფროსი.

3. დისციპლინური წარმოება ტარდება:

ა) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის X თავით დადგენილი წესით, თუ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს სამინისტროს სისტემის იმ მოსამსახურის მიმართ, რომელზეც ვრცელდება აღნიშნული კანონის მოქმედება;

ბ) შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურისა, რომელზეც ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის X თავის მოქმედება) შინაგანაწესით დადგენილი წესით, თუ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოსამსახურის მიმართ;

გ) მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „კერძო აღმასრულებლის საქმიანობის მონიტორინგისა და კერძო აღმასრულებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების წესის“ შესაბამისად, თუ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს კერძო აღმასრულებლის მიმართ;

დ) მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოსამსახურის მიერ სამსახურის გავლის წესის“ შესაბამისად, თუ დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს გენერალური ინსპექციის მოსამსახურის მიმართ.

მუხლი 16. გენერალური ინსპექციის მოსამსახურის აცილების საფუძვლები სამსახურებრივი შემოწმებისა და დისციპლინური წარმოების შემთხვევაში

1. გენერალური ინსპექციის მოსამსახურე არ მონაწილეობს სამსახურებრივი შემოწმების ან/და დისციპლინური წარმოების პროცესში, თუ არსებობს გარემოება, რომელიც იძლევა ვარაუდის საფუძველს სამსახურებრივი შემოწმების ან/და დისციპლინური წარმოების შედეგებით მისი დაინტერესების თაობაზე (ინტერესთა კონფლიქტი).

2. გენერალური ინსპექციის კონკრეტული მოსამსახურის აცილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს

გენერალური ინსპექციის უფროსი.

3. გენერალური ინსპექციის მოსამსახურე ვალდებულია განაცხადოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შესახებ.